


მაკროეკონომიკური პროგნოზები



ეკონომიკური ზრდის ტემპი 2021 – 2024 წწ



წვლილი 2021 წლის ეკონომიკურ ზრდაში:

- რეალური მოხმარება (↑) : +2.7%
- წმინდა ექსპორტი (↑) : 0.1 %
- რეალური ინვესტიციები (↑) : +2.4%

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

მაკროეკონომიკური პროგნოზები

დეკემბერი, 2020 წელი

ანგარიშის შესახებ: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები მიზნად ისახავს წარმოადგინოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგნოზების ალტერნატიული საპროგნოზო მარკენებლები.

შენიშვნა: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზები განახლდება საბიუჯეტო პროცესის და საბიუჯეტო ოფისის ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად.

ელ-ფოსტა:

pbo@parliament.ge; vchalapeikrishvili@parliament.ge;
achagelishvili@parliament.ge

შინაარსი

1. პროგნოზირების მოდელის შესახებ	4
საბაზისო სცენარი	5
2. რეალური სექტორი	5
3. ფისკალური სექტორი	11
4. საგარეო სექტორი	16
5. მონეტარული სექტორი	18
6. მაკროეკონომიკური სცენარები	20
6.1 ძირითადი დაშვებები	21
6.2 ოპტიმისტური და პესიმიისტური სცენარები	22
დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2020-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	28
დანართი 2: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2020-2024 წლებისთვის (ოპტიმისტური სცენარი)	30
დანართი 3: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2020-2024 წლებისთვის (პესიმიისტური სცენარი)	32
დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2020 წლისთვის (საბაზისო სცენარი)	35
დანართი 5: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2021-2022 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	36
დანართი 6: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2023-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	37
დანართი 7: ოპტიმისტური პროგნოზების შედარება, 2020-2024 წლებისთვის	38
დანართი 8: პესიმიისტური პროგნოზების შედარება, 2020-2024 წლებისთვის	39

1. პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი (PBOMFM) არის თავსებადი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურასთან, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი
- ფისკალური სექტორი¹
- საგარეო სექტორი
- მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. **სააღრიცხვო იგივეობა:** მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. **ეკონომეტრიკული განტოლებები:** ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელებს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შებლდული ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოადგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 - მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 - მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. **ტექნიკური განტოლებები:** მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2020Q2 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფისკალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ეროვნული ბანკი - საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები.

¹ მოდელში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი აღებულია მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზებიდან, როგორც ეგზოგენური ცვლადი.

2.რეალური სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.2%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2021 წლისთვის (5.2%) 0.9 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს² (4.3%) და განსხვავდება (0.2 პპ-ით ჩამორჩება) საბიუჯეტო ოფისის მიერ 2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული საპროგნოზო მაჩვენებლისაგან³. როგორც ცნობილია, მსოფლიოში მიმდინარე კორონა ვირუსით (Covid-19) გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა თითქმის ყველა ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც მოახდინა გავლენა. ეკონომიკის მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა 2020 წლის პირველ ნახევარში, მეორე კვარტალთან შედარებით მესამე და მეოთხე კვარტალში კლების ტემპის შემცირებაა მოსალოდნელი, თუმცა 2020 წლისათვის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით მშპ-ს მნიშვნელოვანი კლებაა მოსალოდნელი. 2021 წლის შეფასებისას, გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, პროგნოზირებისათვის ფუნდამენტური ეკონომიკური მოვლენების ანალიზთან ერთად, აუცილებელია პანდემიასთან დაკავშირებული გარკვეული დაშვებების არსებობა, რომელთა ცვლილებამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროგნოზის სიზუსტეზე. საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ საქართველოში ვირუსის გავრცელების ე.წ. „მეორე ტალღა“ პიკი ექნება 2020 წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო 2021 წლის მეორე კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკა, დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით სწრაფად დაიწყებს აღდგენას. დაშვებისას ასევე მხედველობაშია მიღებული როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე - საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების⁴ ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი⁵. კერძოდ:

- 2021 წლის დადებით პროგნოზს განაპირობებს ის ფაქტორი, რომ Covid-19-ის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების ფონზე (საგანგებო მდგომარეობა და სხვადასხვა სახის შეზღუდვები) მოიშალა ე.წ. „გლობალური ღირებულებათა ჯაჭვი“, თუმცა 2021 წლისათვის მოსალოდნელია, რომ მოხდება ეკონომიკური აქტორების პანდემიასთან უკეთ ადაპტირება და აღნიშნული ე.წ. „ღირებულებათა ჯაჭვის“ როგორც ქვეყნების შიგნით, ისე მსოფლიო მასშტაბით აღდგენა.
- გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ პანდემიასთან ადაპტირების პარალელურად, 2021 წლისათვის უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, გამოცოცხლდება ტურისტული სექტორიც, გაიზრდება როგორც მომსახურების ექსპორტი, ისე იმპორტი.
- ნოემბრის პროგნოზთან შედარებით -5.0%-დან -5.3%-მდე შემცირდა ასევე 2020 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზიც, რაც ძირითადად გამოწვეულია მეოთხე კვარტალში პანდემიის საპასუხოდ გატარებული დამატებითი შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვები გრძელდება 2021 წლის იანვრის ბოლომდე, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება 2021 წლის ზრდაზეც.
- ინფლაციის ტემპის შემცირების საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა 2020 წლის აპრილიდან შეარბილა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 2020

² მთავრობის პროგნოზი გულისხმობს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტში წარმოდგენილ 2021-2024 წლების საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლების საბაზისო სცენას, რომელიც 2020 წლის 30 ნოემბერს წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

³ http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic_Forecasts_November_2020_FINAL_GE.pdf


⁴ ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.

⁵ წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ ოქტომბერი 2020“ (WEO October 2020) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/09/30/world-economic-outlook-october-2020>

წლის IV კვარტალში ინფლაციის ტემპის კიდევ უფრო კლება იყო მოსალოდნელი, რის პარალელურად შესაძლებელია იყო კვლავ პოლიტიკის შერბილებას ჰქონდა ადგილი, რაც 2021 წლისათვის ეკონომიკაზე დადებითად უნდა ემოქმედა. თუმცა აღნიშნული შემცირება უფრო ნელი აღმოჩნდა და ეროვნულმა ბანკმა 9 დეკემბერს შემცირების ნაცვლად მონეტარული პოლიტიკის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო⁶. აღნიშნულმა უმნიშვნელოდ, მაგრამ უარყოფითად იმოქმედა 2021 წლის პროგნოზზე.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოგადაინ პერიოდში (2021-2024 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.4%-ს შეადგენს, რაც 0.1პპ-ით აღემატება ოფისის მიერ 2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად 2021 წლის შემცირებისა, ასევე უმნიშვნელოდ შეიცვალა 2022-2024 წლების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები სხვადასხვა მიმართულებით. 2021 წელს ეკონომიკური აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი რეალური მოხმარების მხრიდან არის მოსალოდნელი, მაშინ როდესაც, გაზრდილი საგარეო სავაჭრო აქტივობის პარალელურად სავაჭრო ბალანსის მშპ-ზე თითქმის ნეიტრალური (+0,1 პროცენტული პუნქტი) გავლენაა მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ საშუალოგადაინ პერიოდში ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველ როლს კვლავ შიდა მოხმარება და ინვესტიციები ასრულებს.

რაც შეეხება მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელს ანალოგიური პერიოდისათვის, 2021-2024 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგნოზი 5.2%-ს უტოლდება, რაც 0.2პპ-ით აღემატება მათ 2020 წლის ნოემბრის ანალოგიურ პროგნოზს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი საშუალოგადაინ პერიოდისათვის ითვალისწინებს მთავრობის საშუალოგადაინ პერიოდში არაფინანსური აქტივების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) საპროგნოზო/დაგეგმილ ზრდას, რომლის ფაქტობრივმა დინამიკამ, შესაძლოა, შესაბამისი გავლენა მოახდინოს ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლების ფაქტობრივ რეალიზებაზე.




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად

⁶ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=4107>

შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი⁷.


საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლისთვის მშპ-ის პოტენციური დონისაგან მნიშვნელოვანი გადახრა დაფიქსირდება (-1.7%). აღსანიშნავია რომ ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით 2021 წელს უარყოფითი გაპის სიდიდე -2.0% იყო. რაოდენობრივი შემცირების მიუხედავად ნოემბრის პროგნოზთან შედარებით გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს პოტენციური მშპ-დან გადახრის, რაც ძირითადად მიგვანიშნებს იმას, რომ ვითარების გათვალისწინებით შემცირდა თვითონ პოტენციური მშპ-ს დონე. მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში უარყოფით გაპს კლების ტენდენცია ექნება და 2023 წლისთვის დაიხურება⁸.



დიაგრამა 2: რეალური მშპ-ის გაპი.


რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს ერთ სულზე, მისი საპროგნოზო მოცულობა 2020 წლისთვის 13,241 ლარს, ხოლო 2024 წლისათვის - 18,805 ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები საშუალოვადიან პერიოდში მცირედით აღემატება მთავრობის პროგნოზებს.

⁷ დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>
⁸ მშპ-ის პოტენციური დონე შეფასებულია „კალმანის ფილტრის“ გამოყენებით. პოტენციური დონის შეფასების მეთოდოლოგიისათვის იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: ["ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანიევრირების რესურსი"](#).




დიაგრამა 3: მშპ ერთ სულზე, ნომინალური.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლისათვის ნომინალური მშპ 8.8%-ით გაიზარდა და 53,537 მიაღწევს. იგი 1,129 მლნ ლარით ჩამორჩება 2020 წლის ნოემბერში გაკეთებულ საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მარჯვენებელს, რაც შემცირებული ეკონომიკური ზრდით და დეფლატორის პროგნოზით არის გამოწვეული. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობის რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპის და ინფლაციის განსხვავებული პროგნოზების გათვალისწინებით, ნომინალური მშპ-ს მარჯვენებელი ჩამორჩება საბიუჯეტო ოფისის მარჯვენებელს, აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდშიც.




დიაგრამა 4: ნომინალური მშპ მლნ ლარი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ე.წ. „საორიენტაციო ტრაექტორიის“ გათვალისწინებით, **2021 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე მეტი იქნება და 3.2%-ს მიაღწევს**. მოსალოდნელი იყო, რომ 2020 წლის პირველ და მეორე კვარტალში ფასების ზრდის ტემპის მაღალი დონე შენარჩუნდებოდა და მესამე კვარტლიდან შემცირებას დაიწყო, ასევე, ნავთობის მსოფლიო ფასების კლების და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის კომბინაციის შედეგად მესამე კვარტლიდან შემცირება დაიწყო და მოსალოდნელი იყო, რომ მეოთხე კვარტლისათვის ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის სიახლოვეს დაფიქსირდებოდა, თუმცა 2020 წლის მეოთხე კვარტალში ამ ტემპით არ შემცირდა ინფლაციის მაჩვენებელი, რაც გაცვლითი კურსის გაუფასურების და ნავთობის ფასების მცირე ზრდით შეიძლება იყოს გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ნოემბერში საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით, მოსალოდნელი ინფლაცია 0.1 პპ-ით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია იმით, რომ მასზე უმნიშვნელოდ იმოქმედა მეოთხე კვარტლის ზრდის საბაზისო ეფექტმა, **თუმცა კვლავ შენარჩუნებულია 2020 წლის მეოთხე კვარტალში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების წნეხი მომავალი წლის ინფლაციაზე**. მთავრობის პროგნოზით 2021 წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ჩამორჩება და 2.5% დაფიქსირდება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში ეროვნული ბანკის მიზნობრივი 3%-იანი მაჩვენებლის ტოლი იქნება. გასათვალისწინებელია, რომ როგორც მონეტარული პოლიტიკის, ასევე - საგარეო ფაქტორების განსხვავებულმა ცვლილებამ, შესაძლებელია, განაპირობოს განსხვავებები საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან.




დიაგრამა 5: სამომხმარებლო ფასების ინდექსები, პერიოდის საშუალო.



დიაგრამა 6: მზპ-ის დეფლატორი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის პარალელურად კერძო ინვესტიციების მზპ-სთან ფარდობა 2021 წლისათვის 1.6%-ული პუნქტით გაიზრდება, მზპ-ის 18.2%-ს მიაღწევს და საშუალოვადიან პერიოდში მუდმივად უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია ექნება. საშუალოვადიან პერიოდში ზრდის ტრენდი ექნება კერძო დანაზოგების მზპ-სთან ფარდობასაც, 2021 წლისთვის იგი უმნიშვნელოდ იზრდება მზპ-ის 17.0%-მდე, ხოლო 2024 წლისათვის - 18.2%-ს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი დანაზოგები კვლავ არ იქნება საკმარისი მთლიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად, ამიტომ ინვესტიციები დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული სესხებით დაფინანსდება (მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსი). მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2021 წლისათვის კერძო ინვესტიციების მზპ-სთან ფარდობის შემცირება არის მოსალოდნელი 15.8%-მდე, საშუალოვადიან პერიოდში იგი მუდმივად გაიზრდება და საშუალოდ 17.5%-ს გაუტოლდება.




დიაგრამა 7: კერძო ინვესტიციები, მზპ-სთან შეფარდება.

3. ფისკალური სექტორი

ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა როგორც საშუალოვადიან, ასევე - გრძელვადიან პერიოდში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (GFSM 2014) მშპ-სთან მოსალოდნელი ფარდობა -6.8%-ს შეადგენს (ნოემბრის პროგნოზით იგი -4.7% იყო). ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული მთლიანი სალდო მარგენებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) 2021 წლისთვის -7.0%-ს გაუტოლდება.



დიაგრამა 8: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, მშპ-სთან შეფარდება.



დიაგრამა 9: მოდიფიცირებული მთლიანი სალდო, მშპ-სთან შეფარდება.

2020 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მარგენებლის მშპ-სთან ფარდობა 0.3 პპ-ით ნაკლებია მთავრობის მიერ წარმოდგენილ შესაბამის მარგენებლებზე, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 140 მლნ ლარით აღემატება მთავრობის მარგენებელს, რაც განპირობებულია როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების, ისე სხვა შემოსავლების შედარებით ოპტიმისტური პროგნოზით.

რაც შეეხება 2021 წელს, საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მარგენებელი (-6.8%) 0.7პპ-ით ნაკლებია მთავრობის ანალოგიურ მარგენებელზე (-7.5%). აქედან გამომდინარე, როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზით 2021-2022 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3%-ზე მეტი იქნება. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით იგი 2024 წელს ჩამოცდება 3%-იან მარგენებელს, ხოლო მთავრობის პროგნოზით 2023-2024 წლებში უკვე ნაკლები იქნება 3%-იან ნიშნულზე.

რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, რომელზეც 2019 წლიდან ვრცელდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, იგიც საშუალოვადიან პერიოდში შემცირების ტენდენციას ავლენს. როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზების მიხედვით 2020-2022 წლებში ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს კლების ტენდენცია ექნება და უკვე 2023 წლიდან ჩამოცდება ფისკალური წესით განსაზღვრულ 3%-იან ლიმიტს.


აქვე ხაზგასასმელია რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯით ნაწილთან დაკავშირებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზების საბაზისო სცენარი ეყრდნობა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტში წარმოდგენილ მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფისკალურ გეგმას საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

აგრეთვე, საშუალოვადიანი პერიოდისათვის მნიშვნელოვანია, შევაფასოთ ფისკალური ინდიკატორები ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან მიმართებით⁹, კერძოდ - დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება და კავშირი ეკონომიკურ ციკლთან¹⁰.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020-2022 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს (ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი სალდო) და შესაბამისად, დადებით ფისკალურ პოზიციას ემთხვევა მშპ-ის უარყოფითი გაპი, რაც ანტიციკლური ფისკალური ექსპანსია და პასუხობს მდგრადი ეკონომიკური განვითარების კარგ პრაქტიკას (ეკონომიკის სტიმულირება შენელების დროს). რაც შეეხება 2023-2024 წლებს, პოზიტიური გაპის პარალელურად არსებული კვლავ დადებითი ფისკალური პოზიცია მცირე პროციკლურ ექსპანსიაზე მიუთითებს.

⁹ კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ ხარჯვითი პოლიტიკა სრულად დისკრეციულია: გადაწყვეტილებები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ არ მიიღება ეკონომიკური ციკლების მიხედვით.

¹⁰ იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: ["ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანივრირების რესურსი"](#).




დიაგრამა 10: ფისკალური პოზიციის.

საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 12,183 მლნ ლარს შეადგენს, რაც 18 მლნ ლარით ჩამორჩება საბიუჯეტო ოფისის მიერ ნოემბერში გაკეთებულ 2021 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელს და 138 მლნ ლარით აღემატება მთავრობის პროგნოზს (12,045 მლნ ლარი). შესაბამისად განსხვავება შეინიშნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის¹¹ (იხ დიაგრამა 11-12). საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 22.8%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი კი 22.5%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2021-2024 წლებისათვის გადასახადების შეფარდება მშპ-სთან საშუალოდ 22.7% იქნება. რაც შეეხება 2020 წელს, საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი უმნიშვნელოდ გაიზარდა (253 მლნ ლარით).


¹¹ პირდაპირი გადასახადები ასევე მოიცავს სხვა გადასახადების საპროგნოზო შემოსავლებს.

საგადასახადო შემოსავლების კომპონენტების დონეზე ანალიზისას აღსანიშნავია, რომ




საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წელს 0.2 კპ-ით გაიზრდება პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში (42%). შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების წილი 58%-ი იქნება. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021-2024 წლებში თანდათან მოიმატებს პირდაპირი გადასახადების და დაიკლებს არაპირდაპირი გადასახადების წილი. აღსანიშნავია, რომ მოცემული საშუალოვადიანი პროგნოზები ეყრდნობა არსებულ ფისკალურ პოლიტიკას და გათვალისწინებულია 2017-2020 წლებში განხორციელებული საგადასახადო და საპენსიო რეფორმები. საბიუჯეტო პოლიტიკის შემდგომმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავებები აღნიშნული პროგნოზებისაგან.

დიაგრამა 11: 2021 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (საბიუჯეტო ოფისი)




რაც შეეხება მთავრობის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, მოსალოდნელია, რომ პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 2021 წლისათვის 42% იქნება და საშუალოვადიან პერიოდში ამ დონეზე ნარჩუნდება.

დიაგრამა 12: 2021 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (მთავრობა)



დიაგრამა 13: საგადასახადო შემოსავლები, მშპ-თან შეფარდება.




დიაგრამა 14: საგადასახადო შემოსავლები, მილიონი ლარი.

4.საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 8.5%-ია, რაც 1.2 პპ-ით ჩამორჩება ოფისის 2020 წლის ნოემბრის პროგნოზს (9.7%), მთავრობის საპროგნოზო მარჯვენებელიც ასევე მშპ-ის 8.5%-ს შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2022 წლიდან გაუმჯობესებას დაიწყებს და საშუალოდ მშპ-ს -6.3%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება, მთავრობის პროგნოზის მიხედვითაც დეფიციტი 2022 წლიდან გაუმჯობესდება და საშუალოდ მშპ-ს -6.1%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება.

საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოსალოდნელი კლების მთავარი მამოძრავებელი ძალა შიდა დანაზოგების საპროგნოზო ზრდაა.¹² მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში იზრდება მშპ-ში ინვესტიციების წილიც, დანაზოგების ზრდის ტემპი არამხოლოდ აკომპენსირებს ამ ზრდას, არამედ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კერძო დანაზოგების ზრდა.



დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, მშპ-სთან შეფარდება.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის კომპონენტებს:

- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირების უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი სავაჭრო ბალანსის მოსალოდნელი დინამიკაა. Covid-19-ით გამოწვეული, ზემოთ აღწერილი პრობლემებიდან გამომდინარე, 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდება ექსპორტის მოცულობა, თუმცა ამავე დროს მნიშვნელოვანი კლებაა მოსალოდნელი იმპორტშიც. უკვე 2021 წლიდან საგარეო აქტივობის გამოცოცხლებაა ნავარაუდები, ყოველივე აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საგარეო ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და სავაჭრო ბალანსი უმნიშვნელოდ გაუმჯობესდება. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2021 წელს მშპ-ის 12.0%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზით კი

¹² მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მთლიანი ინვესტიციებისა და მთლიანი დანაზოგების სხვაობა - დეფიციტი ნიშნავს, რომ დანაზოგები არაა საკმარისი ინვესტიციების დასაფინანსებლად და ქვეყანა სესხს იღებს დანარჩენი მსოფლიოსგან.


დეფიციტი 11.4% იქნება. საბიუჯეტო ოფისის მიხედვით მიმდინარე ანგარიში და სავაჭრო ბალანსი საშუალოვადიან პერიოდში გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის შიდა მიწოდება უკეთ უზრუნველყოფს მთლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუმცა მთავრობის შეფასებით 2022 წლიდან უმნიშვნელო გაუარესებაა მოსალოდნელი.

- როგორც მთავრობის, ისე საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წელს, მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესების მთავარი წყარო, სავაჭრო დეფიციტი იქნება.



დიაგრამა 16: სავაჭრო ბალანსი, მშპ-სთან შეფარდება.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 675 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება და საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება, ხოლო მთავრობის პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 330 მლნ აშშ დოლარი იქნება და შემდეგ წლებში გაიზრდება, გარდა 2023 წლის უმნიშვნელო კლებისა.




დიაგრამა 17: წმინდა კერძო და კაპიტალური ნაკადები, მლნ აშშ დოლარი.

5. მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 31,246 მლნ ლარს გაუტოლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი - 10.5%-ს. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატის მოსალოდნელი მოცულობა 14,582 მლნ ლარია, ზრდა კი - 12.5%.




დიაგრამა 18: ფულის მასის M3 ზრდის ტემპი.




დიაგრამა 19: ფულის მასის M2 ზრდის ტემპი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 0.8%-ით ზრდა. შესაბამისად, 2021 წელს რეზერვების მოცულობა 3,721 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (4.9 თვის იმპორტის ჯერადი), ხოლო 2021-2024 წლების საშუალო მოცულობა 3,982 მლნ აშშ დოლარია.



დიაგრამა 20: საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 38,945 მლნ ლარს მიაღწევს, რაც მეტია სამთავრობო პროგნოზთან შედარებით. აღნიშნული ტენდენცია იცვლება საშუალოვადიან პერიოდში და 2022-2024 წლებში მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მუდმივად აღემატება საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მონაცემებს. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ითვალისწინებს 2020 წელს შექმნილ ვითარებასა და სესხების გაცემასთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკის შესაძლო ეფექტს.



დიაგრამა 21: კერძო სექტორზე გაცემული სესხები. ნაშთები. მლნ ლარი.

6. მაკროეკონომიკური სცენარები

მაკროეკონომიკური სცენარები წარმოადგენს ეკონომიკის საბაზისო, ყველაზე მეტად მოსალოდნელი სცენარიდან გაუთვალისწინებელი გადახრის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკის შესაძლო განვითარების მოდელებს.

2020 წლისათვის საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების დაშვებებს შორის ძირითადი განსხვავება კორონა ვირუსის (Covid-19) შესაძლო განვითარებასა და მის მიერ გამოწვეული შედეგების რეალიზაციით არის განპირობებული.

საბაზისო მოდელი უშვებს, რომ საქართველოში ვირუსის გავრცელების ე.წ. „მეორე ტალღა“ პიკი ექნება 2020 წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო 2021 წლის მეორე კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკა, დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით სწრაფად დაიწყებს აღდგენას.

თუმცა, თანამედროვე ცვალებადი გარემოდან გამომდინარე შესაძლებელია ეკონომიკის აღდგენას ქონდეს უფრო სწრაფი ე.წ. “V” ტიპის ფორმა ან ასევე მოსალოდნელია ეკონომიკის გამოცოცხლება არც ისე სწრაფი ტემპით მოხდეს. იმის მიხედვით:

- რამდენად **გამწვავდება და გაგრძელდება ეპიდემია** მსოფლიოში;
- შექმნის თუ არა ეს ყველაფერი **ფისკალური მდგრადობის პრობლემებს** ქვეყნებისთვის და;
- რამდენად **სწრაფად აღდგება ეპიდემიამდელი ეკონომიკური კავშირები და ქცევები**.

შესაძლებელია განვიხილოთ მაკროეკონომიკური განვითარების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.

ოპტიმისტური სცენარი, გულისხმობს დაშვებას, რომ მსოფლიოში მიმდინარე კორონა ვირუსით (Covid-19) გამოწვეულ უარყოფით შედეგებს საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოში პიკი ექნება მეოთხე კვარტალში, ხოლო 2021 წლიდან საქართველოს ეკონომიკა დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად სწრაფად დაიწყებს აღდგენას. ამავე სცენარის მიხედვით, როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ მსოფლიოში პანდემიას არ მოჰყვება ფისკალური/ვალის მდგრადობის პრობლემები და მსოფლიო შეინარჩუნებს ჯანსაღ ფისკალურ პოზიციებს. ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საქართველოში 2021 წლიდან დაიწყება ტურისტული სექტორის გამოცოცხლება, საგარეო მოთხოვნის კიდევ უფრო ზრდა და ეს შეუფერხებლად გაგრძელდება. საშუალოვადიან პერიოდში ოპტიმისტური სცენარი გულისხმობს მუდმივად დადებით შოკს ქვეყანაში და მაღალ ეკონომიკურ ზრდას.


პესიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ 2020 წლის მეოთხე კვარტლიდან ქვეყანაში გამწვავდება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და დაწესდებული გარკვეული შეზღუდვები და აკრძალვები, ასევე გაგრძელდება 2021 წლის პირველი კვარტლის გამწვავლობაშიც. ამავე დაშვებით მოსალოდნელია, რომ 2021 წლის პირველ ნახევარში, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში კვლავ საჭირო იქნება ვირუსის საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიებები. ამ სცენარის მიხედვით 2021 წლიდან მოსალოდნელია, რომ ვალის მიმართ მოწყვლად გარკვეულ ქვეყანათა ჯგუფს შესაძლოა დაუდგეთ ფისკალური მდგრადობის პრობლემები, რაც გამოიწვევს დამატებით საგარეო შოკს და გლობალური მოთხოვნის ნაკლებ ზრდას. პესიმისტური სცენარის მიხედვით, ასევე მოსალოდნელია, რომ ტურისტული ნაკადების გამოცოცხლებას ადგილი ექნება 2021 წლის მეორე ნახევრიდან, თუმცა მისი ტემპები მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება საშუალოვადიან პერიოდში, საბაზისო და ოპტიმისტური სცენარების დაშვებებთან შედარებით. საშუალოვადიან პერიოდში პესიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ ეკონომიკის

აღდგენა ძნელად მისაღწევი იქნება და შემცირებული ეკონომიკური აქტივობების ფონზე შემცირდება ასევე წარმოების პოტენციალიც.

6.1 ძირითადი დაშვებები

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური მოდელის (PBOMFM) სხვადასხვა სცენარი ეფუძნება შოკების რეალიზაციის პირობებში ორი ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორის: ინფლაციისა და რეალური მშპ-ის ცვლილებებს. დანარჩენი მაკროეკონომიკური ცვლადების საბაზისო სცენარიდან გადახრები განპირობებულია ინფლაციისა და მშპ-ის ზრდის შოკებით.

რეალური მშპ-ის ზრდის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები წარმოადგენს ზემოთ აღწერილი დაშვებების შესაძლო რეალიზაციის შედეგად საბაზისო სცენარიდან გადახრას.




დიაგრამა 4: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

მაკროეკონომიკური სცენარები ეფუძნება დაშვებას, რომ, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, მთლიანი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში პერმანენტულად დადებითი შოკები რეალიზდება, ხოლო, უარყოფითი სცენარის დროს, ყოველ წელს საბაზისო სცენართან შედარებით ეკონომიკური განვითარების უარყოფითი ტენდენციებია მოსალოდნელი.

ამ დაშვებების გათვალისწინებით, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2021-2024 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი 7.2% იქნება, ხოლო პესიმისტურის შემთხვევაში - 2.5%.

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინფლაციას, მისი ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები ითვალისწინებს წლების განმავლობაში ინფლაციის ტენდენციებს ეკონომიკური ზრდისა და შენელებისას; აგრეთვე - ინფლაციის საპროგნოზო მოდელის შეფასების შეცდომას.

ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მუდმივად გადააჭარბებს საბაზისო სცენარს (საშუალოდ 5.3%), ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში ინფლაცია 2%-ზე ნაკლები იქნება (საშუალოდ 1.4%).



დიაგრამა 5: ინფლაცია, (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმიისტური სცენარები).

რეალური მშპ-ისა და ინფლაციის ოპტიმისტური სცენარების კომბინაცია წარმოადგენს მთლიანი მოდელის ოპტიმისტური სცენარის საფუძველს, ხოლო პესიმიისტური სცენარების კომბინაცია ეკონომიკური განვითარების პესიმიისტური სცენარის ბაზისია.

მოდელი ეყრდნობა დაშვებას, რომ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური შოკები, პირველ რიგში, სწორედ ამ ორ ინდიკატორზე მოახდენს გავლენას. თავის მხრივ, რეალური მშპ-ის ზრდა და ინფლაცია გავლენას ახდენს ერთმანეთზე, რაც აგრეთვე ეკონომიკური შინაარსის მატარებელია.

საბაზისო სცენართან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს საბაზისო სცენართან შედარებით გაზრდილ ერთობლივ მოთხოვნას და, შესაბამისად, გაზრდილ ფასებს, ხოლო ეკონომიკის ზრდის მუდმივი დაბალი ტემპი ერთობლივი მოთხოვნის და, შესაბამისად, ფასების კლებას განაპირობებს. თავის მხრივ, საბაზისო სცენართან შედარებით, მაღალი და სტაბილური ინფლაცია ხელს უწყობს მოხმარების სტიმულირებას, რაც ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და, შესაბამისად, გამოშვებას, ხოლო დაბალი ინფლაცია დაზოგვის სტიმულს ქმნის და საშუალოვადიან პერიოდში მოთხოვნას ამცირებს.

პესიმიისტური და ოპტიმისტური სცენარები აგებულია იმ დაშვებით, რომ მთავრობის ხარჯვით პოლიტიკა წარიმართება ისე, როგორც მთავრობის მიერ წარმოდგენილ ოპტიმისტურ და პესიმიისტურ სცენარებშია ასახული. საბიუჯეტო ოფისის ოპტიმისტური სცენარი მოიცავს მთავრობის ოპტიმისტურ ხარჯვით პოლიტიკას, ხოლო პესიმიისტურ სცენარში მთავრობის პესიმიისტური სცენარით გათვალისწინებული ხარჯვითი პოლიტიკაა გათვალისწინებული¹³.


6.2 ოპტიმისტური და პესიმიისტური სცენარები

რაც შეეხება ეკონომიკურ სცენარებს სექტორების მიხედვით:

მაღალი ეკონომიკური ზრდა და ფასების მაღალი დონე განაპირობებს იმას, რომ საბაზისო სცენართან შედარებით იზრდება გადასახადების დასაბეგრი ბაზა და, შესაბამისად, ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები, ხოლო უარყოფითი სცენარის განვითარების შემთხვევაში


¹³ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი თანდართული მასალებით

მოსალოდნელია, რომ გადასახადების მოცულობა საბაზისო პროგნოზთან შედარებით შემცირდება.



დიაგრამა 6: საგადასახადო შემოსავლები (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

